



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 24

11/06/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, **ქალაქ ახალციხეში, შოთა რუსთაველის და კეცხოველის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (I ეტაპი) 1 554 321** (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას სამას ოცდაერთი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მეზღაღიშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

